სახალხო გაგეთი

№ 810 ოთხშაბათი 30 იანვარი 1913 № 810

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ფერდზე 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან ყოველ სტრიქონის გარეშე მოლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი 3 ტეტრ. ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, დ ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკაის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 50 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. **ცალკე №** ყველგან 5 კ.
„ „ **თვეში** — 75 კაპ. **დამატებიანი** 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

სახალხო გაგეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ოქრი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ძართველი ერის ისტორია,** პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

სახელვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისის ტფილისს გარეშე, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შინაგანებში უფასო.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელიც სურს მიიღოს ფოსტით ორი სურათიანი წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილოგით **მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გ. მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში,** სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**

3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი წარმოდ. № 47.

ტასო აბაშიძის ბენეფისი.

ხუთშ., 31 იანვ., ქართ. დრ. საზ. დას. მიერ **ტასო აბაშიძის საბენეფისოდ** წარმოდგ. იქნება ინგლისის გამოჩენილ მწერლის **ბერნარდ შოუს** პიესა

კეისარი და კლეოპატრა, დრამა 5 მოქ. და 6 სურათად, თ. რგმ. ვ. შალიკაშვილისა.

კლეოპატრას როლს შეასრულებს **ტასო აბაშიძე.**

განსაკუთრებით ამ პიესისათვის დამზადებულია **ახალი ტანისამოსები მ. მ. საფარო-აბაშიძის** ზედამხედველობით და **ახალი დეკორაციები** გ. ნადიბაშვილის მიერ დამზადდ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, ლეჟავა, ლოლუა, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, ქივიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი, და შანშიაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილების ფასი საბენეფისოა.

1040 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინისტრ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძველივე ის ძველ, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსაიარული ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	ფალავანშვილი გ. ვ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედორაფი ე. ვ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. დ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½)
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფარადაგი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
	ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. (სამშ. ხუთ. მაბ.) 11½ 12½.
ქალთა და მაზლობიანი სნეულებანი.	**ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვიჩისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	თიკანაძე ე. ე. (ყოველ დღე) 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოფი ბ. ი. (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედორაფი ე. ვ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2.
	ფონდოევი, გ. ხ. (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყელ. ცხვ. და ტუბერ.	**ათინიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½
	ოტრემბოვსკი ნ. ხ. (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**ფუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
ყურ. ყელ. ცხვ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამეკოლიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეკვისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოსსულიუში, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" „914" და **ფამლის ხეშბაპუნება,** ელექტროლითი წყალ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შეძოწმება და სხვა შეილავარიანი საფასურით. ხ. 1'35

მიიღება ხელის მოწერა

✦ ყველა ქურნალ-გაზეთებზე დ. სამტრედიაში ✦

ქ. შ. წ.-კითხვის წიგნის მაღაზიაში. აქვე შეიძლება ყველა №-ის შეძენაც სოფლის მკითხველებს ეთმობათ № 4 კ. 1042

დოქტორი მედიცინისა წამლობა ✱ ლეკისა. **ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **ხალიალაძ.** ბეგოთოვის ქ., № 23 (ვანოვის ქ. **ტელეფ** კუთხე). 7—99. 847

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის

ალოზალად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლდას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ...ან 8 საათამდე. **უმორჩილესად** ვთხოვთ მიწის მყიდველებს, **რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. ტ. 2020

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მის. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება. რენტგენის სხივებით. ვერა, ყორლანოვის ქ. № 20. ტ. 2122

ექიმი **ნ. ნ. ჯავახიშვილი,** **ორდინატორად ნამყოფი**

კიევის ნეოვეის კლინიკაში. იღებს ნეოვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12.

იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 67

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. **მოსკოვის** ქუჩა № 8, ს. ბაბიშვილისა.

ექიმი **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგიხა** და **კანის** ავადმყ.; **გასხერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზავეტ. ქ.,** № 94, კირილოვის ქუჩის ახლო, ... ფოსტა განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი **კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღ. საღამოს 5 ნახ...ვარ საათ. **გაზეთის** ქ., № 6.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **დასაფასებელ გადასახადის** ფურცლებს ქალაქის გამგეობა გუშინდლიდან უკვე ურიგებს სახლის პატრონთ, რომელნიც მოვალენი არიან გადასახადი შეიტანონ ქალაქის კასაში ერთის კვირის განმავლობაში. წინაალმდეგ შემთხვევაში გაუყიდიან მოძრავ ქონებას და თუ, საჭირო შეიქმნა, უძრავსაც.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრს გ. დ. ჟურულს** სამსახურის ვადა გაუთავდა. გამგეობის ახალ წევრის არჩევნები დაინიშნა მომავალ ორშაბათისთვის.

✦ საქართველოს ეგზარხოსმა საქართველოს ეპარქიაში გაგზავნა მისიონერი პლატონოვი, რათა გამოარკვიოს სამწყოსის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მდგომარეობა.

✦ **ქალაქის სასალახოში.** 1912 წლის განძავლობაში დაუკლავთ: მსხვილ-ფეხა საქონელი — 61,682 სული, ხბო—2,615 სული, ცხვარი—140,252, ბატკანი—18,562, ღორი—20,453, გოჭი—37, კამეჩი 8,853 და ცხენი—21.

✦ **ყასაბთა** თავგასულობის შესახებ სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურეებმა ქალაქის გამგეობას აცნობეს: ყასბებმა ახალ ხერხს მიმართეს —მუშტრებს ხორცზე საქონლის თავს უწონიან და მოთმინებიდან გამოჰყავთო. მეთვალყურეები ქალაქის გამგეობას სთხოვენ, შესაფერი ღონისძიებანი შეიმუშაოს.

✦ **სავალდებულო სასანიტარო წესების დარღვევისათვის** 25 იანვარს ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო აგენტმა ხარაზიანმა და მისმა თანაშემწემ ოქმები შეადგინეს: ტფ. საკრებულოში სადაც იპოვეს ღორი, რომელსაც ქალაქის გამგეობის ბეჭედი არა ჰქონდა, ტფ. „კრუჟოკ"-ში, სადაც მოუკალავი ქვაბები აღმოჩნდა და რესტორან „ანონა"-ში, სადაც საკუკნაო საშინლად ჰყარდა.

✦ **ტრამვაის შტო.** მომავალ ორშაბათს ქალაქის საბჭო განიხილავს საკითხს: მისცეს თუ არა უფლება ტფ. საელექტრონო ფუნიკულერის სააქციონერო საზოგადოებას, რომ ლერმონტოვის ქუჩიდან ფუნიკულერის ქვიდა სადგურამდე ტრამვაის შტო გაიყვანოს. ოადგანაც ამ საკითხია გადაწყვეტა საჭიროა და საბჭოში კი შესაძლებელია კამათი გაიძართოს შტოს მიმართულების შესახებ, რაც საქმეს შეაფერხებს, ამიტომ ქალაქის ძოურავმა ა. ი. ხატისოვმა წინადადება მისცა ხმოსნებს, ორ შაბათამდე ადგილობრივ დაათვალიერონ ის ადგილი, სადაც ტრამვაის შტომ უნდა გაიაროს და კერძო თათბირიც გამართონ გზის ამა თუ იმ მიმართულების ასარჩევად.

✦ რედაქციამ მიიღო ეკატერინე გაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობა **„თინას ლეკური".** წიგნაკი ლამაზთაანად და სუფთად არის გამოცემული და ღირს ერთ მაურად.

✦ რედაქციამ მიიღო საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილი"-ს პირველი ნომერი შემდეგის შინაარსით: 1) რაღა გვეშველება!—სურათ, 2) *** ლექსი—შიო ძღვიმელისა, 3) ალალ-წლას ქადები—ს. ქელბაქიანისა, 4) ორი ძმა, ზღაპარი—ალ. ნათაძისა, 5) უცნაური მეგობარი (ბიკოვიდან)—ძახანასი, 6) ლეოს მოგონება, ლექსი—გელასი, 7) მავი მგელი, იაპონური ზღაპარი—ვანო საათაშკილისა, 8) ნინო და ქეთინო, ლექსი—გიორგი სალარიძისა, 9) ბებია-ანატო (ქუთათურ საშოქალაქო ქალთა სკოლების ძოწაფეებს)—ეკ. გაბაშვილისა, 10) წვრილძანი: გაძოცანა, ხეა, ანაგრამა, შარადა და სხვა. 11) სურათი, ლექსი—ვ. გორგაძისა, 12) რკინის გზის ლიანდაგი (ფრანგულიდან)—ეკ. ძესხისა, 13) პირველყოფილი ადამიანის და ეხლანდელი ველურების ყოფა-ცხოვრება, ლუნკევიჩისა (გადმოკეთებული)—ი. ნაკაშიძისი, 14) მტკვრის სათავე, ჭოროხი და თამარ მეფე, მგზავრის დღიურიდან—ილ. ალხაზიშვილისა, 15) ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ედისონი).

✦ პეტერბურგიდან გვწერენ: 19 იანვარს დაიწყო გეგეკორ-გელოვანის საქმის გარჩევა. მოსამართლეებად ბ. გელოვანის მხრით არიან ლიტერატორი ვ. ვ. ვოდოვოზოვი და პეტერბურგის ვექილთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი მ. ვ. ბერენშტამი, ბ. გეგეკორის მხრით—ვექილი ვ. ნ. კოროლალი და ჟურნალისტი პოტრასოვი. თავმჯდომარედ აირჩიეს პეტერბურგის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი დ. ნ. ოვსიანიკო-კულიკოვსკი. საქმის დაწვრილებითი გარჩევას სასამართლო შეუდგება კვირას, 27 იანვარს.

✦ **ობოლთა სასამართლოს** კანცელარიის მმართველად ქალაქის გამგეობამ მელიქ-ალახვერდოვი დანიშნა, რომელიც თანამდებობის აღსრულებას უკვე შეუდგა.

✦ 2 თებერვალს **განჯაში** იქაური ქართველობა **სალამოსა** მართავს წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ წლევანდელ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, **ქალაქის საბჭოს** საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში ძრავალი საპროგრამო საკითხი ადიძრა, საფინანსო ხასიათისა. ეს საკითხები კომისიამ მაშინ გამოურკვევლად დასტოვა, რადგანაც ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გვიანდებოდა. ხუთშაბათიდან კომისია შეუდგება საგანგებო მოხსენების შედგენას, რომელსაც დასამტკიცებლად საბჭოს წარუდგენს. მოხსენებაში დაწვრილებით იქნება ჩამოთვლილი ის დირექტივები, რომლითაც გამგეობამ 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს უნდა იხელმძღვანელოს.

✦ **საბირეო ცნობები.** 29 იანვარ შეთანხმება არ მოხდა. პროკენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 75 კ., აძლევენ—85 მან. 25 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან., აძლევენ—82 მან. 25 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობი ფურცლებისა: აფასებენ—78 მან. 50 კ., აძლევენ—77 მან. 25 კ.

✦ 28 იანვარს, საღამოს, ქალაქის ძოურავმა გამგეობის შენობაში მოიწვია **სავაჭრო-სამეუნეო პოლიციის აგენტები,** რომელნიც ახლა მიიღეს საქსახურში, დაურიგა ჯაჭვები და შესაფერი ინსტრუქციები მისცა.

✦ **სასმელი წყალი.** ამ ხუთის დღის წინად მთელი ტფილისი კინაღამ უწყლოდ დარჩა. მიზეზი ის იყო, რომ ყინვის გამო მტკვარმა იკლო და ნაპირიდან ავეალის წყალსადენს წყალი ველარ მიაწოდა. ამას გარდა ყინვამ შეჰკრა [illegible] ერთი ადგილი. ქალაქ[illegible] ... ონებლივ გაგზავნ[illegible] ... გამგეობის წევრი გ. დ. [illegible] ... ელმაც დროებითი [illegible] ... ქალაქის გამგეობ[illegible] ... რადიკალურ ზომების [illegible] ... ეას. სხვათა შორის, განზრახულია, რომ წყალსადენს წყალი მიაწოდონ ხოლმე მტკვრის შუაგულიდან და არა ნაპირიდან.

✦ 28 იანვარს სხვა და სხვა უბანში სამი მიგდებული ბავში იპოვეს და ოლგას საბებია ინსტიტუტში გაიტუმრეს.

✦ 28 იანვარს პოლიციამ სხვა და სხვა უბანში 26 უპასპორტო შეიპყრო.

საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ქ.-შ. წ. კ. გამ. საზ.** გამგეობამ უკვე დაასრულა 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა 1912 წლის მოქმედების ანგარიშის შედგენას ჯერ-ჯერობით არ შესდგომია, რადგანაც არ მიუღია განყოფილებათა მოქმედების ანგარიშები.

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიას** დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ექნება. მოისმენს მცირე კომისიის მოხსენებას ქალაქის სასალახოს რევიზიისას.

✦ **„კაპეიკის კავშირი"-ს საზოგადოება** დღეს, ტფ. „კრუჟოკ"-ში ბალსა მართავს, ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

✦ ტფილისში არსდება კავკასიის ლექტორთა საზოგადოება, რომლის წესდებაც საბოლოოდ შემუშავებულია და ამ დღეებში დასამტკიცებლად გუბერნატორს წარედგინება.

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე, საგეოგრაფიო საზოგადოების დარბაზში (მოსკოვის ქუჩა, № 3) დანიშნულია კრება **მოსკოვის საარქელოგიო საზოგადოების კავკასიურ განყოფილებისა.** კრება განიხილავს 1912 წლის მოქმედების ანგარიშს და მოისმენს რეფერატს: „ახპატის მონასტრის წარწერები". კრებაზე დასწრება გარეშეებსაც შეუძლიანთ.

სასამართლო

✦ ტფ. სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი **ა. ნ. სილნინი** სამსახურის საქმეთა გამო გუშინ პეტერბურგს გამგზავრა.

ქუთაისი

✦ მესამე საპოლიციო უბნის ბოქაულის თანაშემწის თანადასწრებით ქუთაისში **ეანდარმებმა გაჩხრიკეს სერგო მღებროვის ბინა.** გაჩხრეკის დროს მღებროვის ბინაზე მთავროგის საწინააღმდეგო ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს. სერგო მღებროვი დაპატიმრეს.

✦ რაფიელ ელოს ძე **რიეინაშვილზე თავ-დასხმის გამო** ქუთაისში 5 კაცი დაპატიმრეს.

✦ ქუთაისის ქალაქის საბჭოს დადგენილება **სიმონ ქვარიანის არჩევის** თაობაზე ამ დღეებში წარედგინება გუბერნატორს დასამტკიცებლად.

✦ სენატმა დამტკიცა კოწია ჩიგოგიძის საქმე, რომელმაც გურიაში მამასახლისის მოკვლა ბრალდება და ქუთაისის საოლქო სასამართლომ 8 წლის კატორღა მიუსაჯა.

✦ ქ.-შ. წ.-კ. გ. ქუთაისის განყოფილების გამგეობა შეუდგა მოქმედების ანგარიშების შედგენას წლიური კრებისათვის. ამისათვის იგი მოუწოდებს წევრებს და დამხმარე აგენტებს, რომელთაც არ შემოუტანიათ 1912 წლის საწევრო ფული, დააჩქარონ შემოტანა, რათა ისინი ირიცხებოდენ სრულ უფლებიან წევრებად და ხმა ქონდეთ მომავალ საზოგადომარტის კრებაზე. დამხმარე აგენტებმა უეჭველად ამ კვირაში უნდა ჩააბარონ გამგეობის ხაზინადარს წევრების შესაძენად გადაცემულ კვიტანციების ანგარიში. ხოლო ვისაც ახლად უნდა საზოგადოებაში ჩაწერა, ამის სურვილი ახლავე უნდა განაცხადოს და შეიტანოს ფული განყოფილების ერთ-ერთ დამხმარე აგენტთან, ან მდივანთან, შავი-ქვის საბჭოს კანტორაში.

✦ ქუთაისის განყოფილების გამგეობა სთხოვს, აგრეთვე ყველა იმ განყოფილებებს რომელთაც გაგზავნილი აქვთ გასაყიდად ქუთაისის განყოფილების მიერ გამოცემული წიგნები, გამოუგზავნონ გამგეობას სრული ანგარიში დღემდე გაყიდულ წიგნებისა, რათა ზემო-აღნიშნული ანგარიშები ჩაერთოს 1912 წ. ანგარიშში.

✦ კიევის საპყრობილედან ქუთაისის ციხეში მოიყვანეს გიორგი ძიგაშვილი („მერცხალი").

სოფლად.

✦ **სოფ. ზემო გომი** (ქართლი). კვირას, 27 იანვარს, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქართლის აგრონომიულ პუნქტის სადგომში, ქართლის აგრონომმა ე. კარბელაშვილმა წაიკითხა ლექციები: დილით „სათესლე სიმინდის ტაროების არჩევა" დასურათებული 60-მდე სურათით; დაესწრო 25—30 კაცი; საღამოთი კი—„სათესლე პურის გაკეთება" და „ხელით და მანქანით პურის თესვა", დასურათებული 20 სურათით; დაესწრო 15-მდე კაცი.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში მოთავსებულ „ქართულ პრესის" მეორე სვეტის ბოლოში **შეცდომითაა დაბეჭდილი:** „წავიდა დრო ეროვნულ საკითხის **კომპრესიულ** გადაწყვეტისა"—**უნდა იყოს: „კომპრომისულ"** და ს.ხ.

ახალ ამბებში მოხსენებულია უმწეო მდგომარეობა **ფილიპე** მგელაძის ობლებსა. **უნდა იყოს ლავრენტი** მგელაძისა, რომელიც საუსაღოში ზის, მეულლე გარდაეცალა და მათი ოთხი მცირეწლოვანი ბავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვი უპატრონოდ არის დარჩენილია.

კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებულ სიმინდის სარო“ მანქანას შეცდომით ჰქონდა წარწერილი „სიმინდის ფუჩეჩიანათ სარო“ მანქანა“ უნდა ყოფილიყო „ნაქუჩიანად“.

ДЕКЕША

ახალციხე.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

28 იანვარს გარდაიცვალა ახალციხის ქართველ კათოლიკეთა დეკანი მღვდელი მიხეილ ვარძელაშვილი.

ტფ. ქალაქის საგზო

28 იანვრის კრება.

კრება 9 საათზე დაიწყო ხატისოვის თავმჯდომარეობით. 21 იანვრის კრების ოქმი დამტკიცეს. **ა. ი. ხატისოვის** წინადადებათ განსვენებულ ქიარიმ-ბეგ ვექილოვის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცეს.

საჩივარი ი. ზ. თუთაძისა, რომელსაც ქალაქმა უსასყიდლოდ მიწა ჩამოართვა ორლოვსკის ქუჩის გასაფართოებლად, საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა.

თხოვნა სახლის პატრონებისა: ნინო სიდომონიძისა, იოსებ კირმელოვისა და გიორგი მამულოვასა, რომელნიც ანტონოვის ქუჩის გასაფართოებლად ჩამორთმეულ მიწისთვის სასყიდელს თხოულობენ, საბჭომ საბოლოოდ ვერ გადასწყვიტა, რადგანაც ხელთ არა ჰქონდა საკმაო ცნობები და ბევრი საიურიდიო საკითხიც გამორკვევას მოითხოვდა. თხოვნა საბჭომ გადასცა საიურიდიო კომისიას და დაავალა, ჩამორთმეული მიწები აუცილებლად დაათვალიეროს და ისე წარმოუდგინოს თავისი აზრი.

ა. ი. ხატისოვმა აცნობა საბჭოს, რომ ნება დართეს ტფილისის ქალაქის თვითმმართველობას, წელს დეკემბერში ტფილისში მოიწვიოს საეკონომიკო ერთეულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრება.

კრების მომწყობ კომიტეტში საბჭომ თავის წარმომადგენლებად აირჩია მ. ვ. ლუნკევიჩი და ტ. ა. ენფიანჯიანცი. ქალაქის გამგეობის მხრით ტექნიკოსი—მ. ბ. ოდანჯანოვი.

გეგმა და პროექტი კახეთის რკინის გზის სადგურებისა: საქონლისა და მასალათა გამნაწილებელ-მიმწოდებლისა, რომელიც ნავთლუღში უნდა ააგონ, საბჭომ თავის მხრივ დაამტკიცა.

მცირე კამათი გამოიწვია ,ხტრახანის მიწების გაყიდვის საკითხმა. ეს მიწები ქალაქს განსვენებულმა შამხაროვმა უანდერძა. ქალაქის საბჭომ კარგა ხანია გადასწყვიტა, მიწა გაყიდოს, რადგანაც სიშორის გამო მისი მოვლა საძნელოა. მყიდველებიც არიან—ეხლანდელი მოჯარადრენი. გამგეობამ საბჭოს წარუდგინა ამ მიწების გაყიდვის პროექტი, რომლითაც მოჯარადრეებს ნება ეძლევათ, მიწები გამოისყიდონ იმავ წესით, როგორც ეს ნაძალადევში მოხდა. საბჭომ პროექტი მოიწონა.

უკამოოდ ჩაიარა საკითხა ვაკეში ბებუთოვის ადგილის დაგეგმის შესახებ. თ-ლს ბებუთოვს ქალაქის გამგეობისთვის წარმოუდგენია თავის მიერ შედგენილი პროექტი დაგეგმისა და მისი დამტკიცება უთხოვნია.

ხმოსნებმა აღნიშნეს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს ადგილების წესიერ დაგეგმას, ქუჩების სიგანის ნორმის დაწესებას და სხვას და სურვილი გამოსთქვეს, ქალაქის გამგეობამ თვით შეადგინოს დაუსახლებელ ადგილების დაგეგმის გენერალური პროექტი, რომლითაც არა მარტო ვაკელები, საბურთალოელებიც იხელმძღვანელებენ.

საბჭომ ეს აზრი მოიწონა და პროექტის შესადგენად გამგეობას სამის თვის ვადა მისცა.

სამღვდელოეგის კრება

29 იანვარს კრებაზე სამღვდელოებამ მოისმინა საქართველოს საეპარქიო საბჭოს შუამდგომლობა. საბჭო თხოულობდა ყოველ-წლიურად 500 მან. გადადებას სანთლის ქარხნის შემოსავლიდან სამრევლო სკოლების სამაზრო ინსპექციის შეანახად. კრებამ მხედველობაში მიიღო, რომ ამ საგნისთვის სინოდს ფული აქვს გადადებული და სამღვდელოებას ნივთიერი ღონის-ძიებაც არ მოეპოვება და დაადგინა, შუამდგომლობაზე უარი ეთქვას.

კრებამ მოისმინა მოხსენება საგანგებო კომისიისა, რომელსაც სანთლის ქარხნის რევიზია ჰქონდა მინდობილი. მოხსენებიდან სჩანს, რომ ქარხნის ანგარიშები სწორედ სწარმოებს, მხოლოდ იმ მიწას, სადაც სანთლის ქარხანაა, 200 ოთხ-კუთხი საჟენი აკლია. ვის მიუთვისებია და როდის, გამოურკვეველია. კრებამ დაადგინა, სთხოვოს სასინოდო კანტორას, რათა სპეციალისტებს მიანდოს საქმის გამორკვევა. გამოირკვა, რომ მღვდლებს სანთლის ქარხნიდან სესხად ბევრი ფული წაუღიათ და აღარ აბრუნებენ. კრებამ დაადგინა, სთხოვოს სასინოდო კანტორას, რათა ჯამაგირიდან დაუჭიროს ხოლმე მღვდლებს იმ დრომდე, სანამ ვალს არ შეავსებენ. ქარხნის შესახებ ქარხნის მეთვალყურე მღვდელმა რეხილაძემ საერთოდ აღნიშნა, რომ შეუძლებელია დიდი მოთხოვნილებანი წავუყენოთ სანთლის ქარხანას, რადგანაც მას წელიწადში მხოლოდ 40,000 მან. გაღება შეუძლიანო. კრებამ 360 მან. გადასდო სანთლის ქარხნის გამგეობის ერთ-ერთ წევრისთვის, რომელმაც სხვა ქალაქებში უნდა შეისწავლოს სანთლის ქარხნის საქმის საუკეთესოდ დაყენების საშუალებანი.

საეკლესიო მუზეუმის შესახებ სამღვდელოებამ დაადგინა: სთხოვოს სინონის ტაძრის კრებულს, მუზეუმი ისევ გალავანში დასტოვოს, ან არა და თავის ხარჯით ააგოს მუზეუმის შენობა იქ, სადაც სამღვდელოება მოინდომებს და არა მტკვრის პირად, როგორც განზრახვა აქვს სინონის ტაძრის კრებულს.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემა

როგორც შევიტყეთ, ხსენებულ თხზულებათა გამომცემლობა უკვე შესდგომია წიგნის ბეჭდვას. მასალა გადაცემულია წიგ. გამომც. ქართველ. ამხანაგ. სტამბაში. შეკვეთილი კლიშეებიც მიღებულია. სარედაქციო კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კორექტურას, მით უმეტეს, რომ ამ მხრით ბევრი სიძნელე იჩენს თავს. საჭიროა შედარება არა მარტო წინად დაბეჭდილ და გამოცემულ ტექსტთან, რომელიც თვით განსვენებულ მგოსნის მიერ არის შესწორებული, არამედ საჭიროა აგრედვე შედარება ხელთნაწერებთანაც. გამომცემლობა დიდის სიფრთხილითა სდებს პირობის წერილს იმ ფირმებთან, რომლებსაც უნდა შეუკვეთოს გამომცემლობისთვის სხვა და სხვა სამუშაო. პირობები სტამბასთანაც დაწვრილებით არის აღნიშნული. გარდა ამისა სარედაქციო კომისია იმედოვნებს, რომ ა. გ. ჯაბადარი, რომლის განკარგულებაშიაც გადავიდა სტამბა, დიდებულ მგოსნის ილიას თხზულებათა გამოცემას ისე მოეკიდება, როგორც საზოგადო დიდ მნიშვნელოვან საქმეს და ყოველგვარ საშუალებას იხმარს, რომ გამოცემა ბეჭდის საქმის მხრივ საგანგებო გამოვიდეს.

აგრედვე დაწვრილებით და კარკვევით არის შედგენილი პირობის ქაღალდი მკაზმავთან. ეს პირობა ნოტარიუსთან დამტკიცდება. ხოლო თვით გამოცემა დაზღვეულ იქნება ცეცხლისგან ერთ-ერთს საზოგადოებაში.

როგორც ირკვევა სტამბას დაბეჭდვისთვის დასჭირდება არა ნაკლებ ოთხი თვისა, მკაზმელსაც არა ნაკლებ ოთხი თვისა, ასე რომ იმედია წიგნს ხელის-მომწერნი მიიღებენ ამა წლის შემოდგომისთვის.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ჩვენში საზოგადოდ წიგნების გამომცემლობის საქმე ჯერედ განვითარებული და სწორ ნიადაგზე დაყენებული არ არის; მეტადრე იმ გვარ გამოცემას, როგორიცაა განზრახული ილიას თხზულებათა გამოცემა, ბევრი დაშაბრკოლებული და შემაფერხებელი გარემოება ელობება წინ.

გამომცემლობას შეუძლიან მხოლოდ თამამად სთქვას, რომ არავითარ საშუალებასა და ღონეს არ დაჰზოგავს, რათა წიგნი რაც შეიძლება მალე დაურიგდეს ხელის-მომწერთ. ყოველ შემთხვევაში გამომცემლობა დარწმუნებულია, რომ თავის დაპირებას, რომ წიგნს 1913 წელს მიაწვდის ხელის-მომწერთ, პირნათლად შეასრულებს.

სასკოლო კომიტეტის

მოხსენება თავად-აზნაურობას

(შემდეგი)

3.

თუ ერთად-ერთი არა, ყოველ შემთხვევაში მთავარი წყაროა გიმნაზიის არსებობისა არის ბანკის შემოსავლის 50%, რომელიც წესდების მე-100 პარაგრაფის ძალით გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების განკარგულებაში გადადის. ამ 50% წესდება ასე ანაწილებს: 35% მიწათ-მომქმედთა და მიწათ-მფლობელთა მცხოვრებლების საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, 5 პროც. ექსტრა-ორდინარ თანხის დასაარსებლად უბედურ შემთხვევით დაზარალებულ თავად-აზნაურთა დასახმარებლად და 10 პროც. სასოფლო-სამეურნეო თანხის დასაარსებლად, მაზრებში სასოფლო - სამეურნეო კრედიტის მოსაწყობად, სამეურნეო ხასიათის სასწავლებელთა დასაარსებლად, სამეურნეო იარაღის საწყობის გასამართად, მანქანების შესაძენად და სხვა. ამ სამ მუხლში უკანასკნელ ორს აქვს სპეციალური დანიშნულება და მხოლოდ პირველი, ე. ი. 35 პროც. ბანკის შემოსავლისა შეიძლება გადაიქცეს წყაროდ საზოგადო მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, რომელთა რიცხვში თავადაზნაურობამ გიმნაზიის შენახვაც მოაოავსა.

ქვემოდ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია გიმნაზიის ხარჯები და თავად-აზნაურობის მიერ გადადებული თანხა 1902—1912 წლებში.

წელიწადი.	საერთო ჯამი გიმნაზიის ხარჯისა.	თავ.-აზ. მისცა გიმნაზ. შენახვანი.	შენობის ასაგები.
1902	152262	74594	12000
1903	194322	70184	30000
1904	203463	91605	20000
1905	175789	92747	11442
1906	207285	62000	12537 [1]
1907	368031	82591	1500
1908	252823	38000	—
1909	111329	60000	—
1910	155046	61000	15000
1911	223382	64800	20000 [2]
1912	60000	—	20000 [3]
	2049732	703521	155979

თუ გიმნაზიის შესანახად მიცემულ ფულის რაოდენობას მის მოთხოვნილებასთან შევადარებთ, ნათლად დავინახავთ იმ გაჭირვებულ მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენი ძვირფასი დაწესებულება ჩავარდა, ჩვენ თვალ წინ დადგა დილლემა—ან მოვძებნოთ სახსარი შემოსავლისა, ან დავკეტოთ გიმნაზია და მასთან ერთად დავმარხოთ გაწეული შრომა და მომავლის იმედები. გიმნაზიის სიკვდილი ჩვენი თავის მკვლელობა და ისტორიულ აღსასრულის აღიარება იქნება; ძნელად თუ ვინმე თავად-აზნაურთაგანი მოაწერს ხელს ამ სამარცხვინო და სასიკვდილო განაჩენს, მით უმეტეს, რომ მოხსენების შემდგენელთა აზრით, გიმნაზიის შესანახად ყველა საშუალება არ არის ხმარებული, რომ შეიძლება გადიუღება იმ თანხისა, რომელიც მიწათ-მომქმედთა და მიწათ-მფლობელ მცხოვრებთა სასარგებლოთ არის გადადებული ბანკის მოგებიდან; ამით არც ბანკს მოუვა ზარალი. საჭიროა შეიცვალოს ტფ. თავ.-აზნ. საადგილ-მამულო ბანკის წესდების შესაფერ პარაგრაფები, რითიც გიმნაზიის მომავალი არსებობა უზრუნველყოფილი იქნება.

წესდების მეასე პარაგრაფის ძალით ბანკის სარგებლიდან 20% გადადებულია სათადარიგო თანხის გასაძლიერებლად ფულის გარავნო ფურცლების ზედ-მეტ მოსასპობად. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ არა სავალდებულო გამოსყიდვა საგირავნო ფურცლებისა, რაც სხვა საადგილ-მამულო ბანკში არ არსებობს, სათადარიგო თანხის გაძლიერებას ემსახურება, და ვინახავთ რომ სათადარიგო თანხაში ტფ. სათ.-აზნ. საად.-მამ. ბანკი თავის სარგებლის 30% ინახავს; გარდა ამისა ბანკს აქვს საერთიერთო თავდებობა მოვალეებისა, იმ შემთხვევაში თუ ბანკის საქმეებს რაიმე საგულისხმო საფრთხე დაადგება. ამისთანა გარანტიები რუსეთის არც ერთ საადგილ-მამულო ბანკს არ აქვს.

რუსეთის ყველაზე თვალ-საჩინო საადგილ-მამულო ბანკები სათადარიგო თანხაში ინახავენ: ხარკოვისა 5%, პოლტავისა და ტულისა ათათ პროცენტს წლიურ სარგებლიდან, ხერსონია 1¼%, გაცემულ ფულისა. უმაღლესი ზომა სათადარიგო თანხისა, რომლის მიღწევის შემდეგაც შეიძლება ფული აღარ გადაიდოს, თითქმის ყველა საიაკიონერო საადგილ-მამულო ბანკთა წესდების ძალით, არის გამოშვებულ საგირავნო ფურცელთა 4%. ბანკში ფულის გადადების საზღვრად ძირითად თანხის ½ არის მიჩნეული, ხერსონის საერობო ბანკში სათადარიგო თანხის საზღვარს ბანკის საერთო კრება სდებს. ტფილ. თავ.-აზნ. საადგილ.-მამ. ბანკის წესდება სათადარიგო თანხაში ფულის გადადებას მაშინ სწყვეტავს, როდესაც იგი 2 ნახევარ წლის შეტანილ თანხას უდრის, რაც საერთო ჯამის 7% შეადგენს. რადგანაც გაცემული ფული მეტის პროპორციით იზრდება, ვიდრე სათადარიგო თანხისთვის გადასადები ფული, ცხადია ტფ. თავ.-აზნ. საადგ. მამულო ბანკი არანორმალურ პირობებში იმყოფება; სათადარიგო თანხ თავის დღეში ვერ მიაღწევს წესდებაში აღნიშნულ ნორმამდე, რის გამოც ლოდიკური აბსურდი გამოდის.

(შემდეგი იქნება).

ქართველ ჯარის-კაცის მოკვლა კავეში.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან.)

ერთ წინა წერილში მოვიხსენიეთ, რომ კიევში ძალიან ბევრი ქართველი ჯარის-კაცია გამოგზავნილი, რომელნიც, უმეტესად, უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან განსაკუთრებით რუსული ლაპარაკის უცოდინარობისა გამო. ამ დღეებში, სხვათა

დიმიტრი უიფიანი

(ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე)

კარი XIII.

ამღვრეულ გუნებაზე დაბრუნდა დიმიტრი უიფიანი პეტერბურგიდან 1882 წელს. სამშობლოშიაც საქმე ისე დატრიალდა, რომ ადამიანი დამშვიდებულად თავს ვერ გრძნობდა. 1881 წელს მოისპო „ნამესტნიკობა“. მთავარ-მართებლად გამწესდა თ. დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც ბეჯითი წარმომათგენელი იყო მადა გაღვიძებულ რუსეთის სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმისა და პოლიტიკური რეაქციისა. დიმიტრი უიფიანი გაოცებული დაჰყურებდა მკვიდრად დაფუძნებულ ახალ რეჟიმს და თანდათან რწმუნდებოდა, რომ ის, რაც მის პოლიტიკურის შეგნებით შეუძლებელი იყო, შესაძლებელი გახდა. ქართველობა აითვალისწუნეს, ქართველობას აღარავინ არაფრად აგდებდა. და ეს აშკარა გახდა არა მარტო უკვე გამწვავებულ ნაციონალურ საკითხთა ფარგალში, არამედ ცხოვრების ყოველ დარგში.

დიმიტრი დაბინავდა თავის მამულში, ქვიშხეთში. წელიწადსაც არ გაუვლია და მის თვალწინ გადიშალა უნუგეშო ყოფა-ცხოვრება ბორჯომის ხეობის გლეხ-კაცობისა. ხუთი სოფლის საზოგადოება, რომელნიც დიდ მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის მამულში სცხოვრობდნენ, დიდად იყვნენ შევიწროვებულნი მამულის მოურავისა და წვრილ აგენტების მიერ. რომ ველარა გააწყვეს-რა და ვერ დაალწიეს თავი ულვთო ექსპლოატაციისაგან, დიმიტრი უიფიანს მიადგნენ და სთხოვეს, მეზობელი ხარ და გავლენაც გაქვსო, ეგებ გვიშველო და ამ ტანჯულ ცხოვრებიდან დაგვიხსნაო. დიმიტრი დასთანხმდა. 186 კაცის მიერ ხელმოწერილი არზა წარუდგინეს და რწმუნებულებაც გადასცეს ამ საქმის საწარმოებლად. ამ არზაში აი რას სჩიოდნენ გლეხები. როდესაც დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე დამკვიდრდა ბორჯომის მამულში, დაჰპირდა თურმე გლეხებს, კმაყოფილებით იქნებით, მზრუნველობას არ მოგაკლებთ და, თუ ვინიცობაა ვინმემ შეგავიწროვოთ, პარდაპირ მე მომმართეთ თხოვნითაო. მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა. მოურავები სასტიკად ეკიდებოდნენ გლეხებს. აი ახლად დანიშნულ მოურავს ვასილიევს ერთი ორად აუწევია ბაჟის ფული.—„ერთ დღიურ მიწის სარგებლობისათვის,—სჩიოდნენ გლეხები, 1 მან. 50 კ. გვახდევინებს, ერთი ძირი თიკის დადგმისათვის იმას გვახდევინებენ, რასაც მოინდომებენ, შეშაში 3 მან. კომლზე, ბოსლის ასაშენებელ მასალაში ვერშოკში—20 კ. უნდა ვაძლიოთ, ბოსლის გასათბობად 3 მან., საქონელში სულში 25 კაპ. გვართმევენ, ხოლო ტყეებსა და მინდვრებში თუ ვაძოვებინეთ, კიდევ 25 კ. გვართმევენ. თითო ღორში და ცხვარშიაც 10 კ. ჩვენი ცხოვრების ერთად-ერთი სახსარი, ტყის გზიდვაა. ჩვენ მიერ მოჭრილ ტყის გაყიდვის უფლებას გვართმევს. ჩამოგვატანინებს მტკვრის „ტივის საგზურზე“ და ჩვენ ხე-ტყეს თითონ ჰყიდის, ჩვენ კი, თუ ტივის ფასი 100—200 მანეთია, 15—60 მანეთს გვარგუნებს. შეშასაც ძალად გვაზიდვინებს და აგრეთვე თივას ბაკურიანიდან და ციხის - ჯვარიდან, ხოლო დაწესებულ ფასს არ გვაძლევს გადმოტანაში, არამედ რასაც მოინდომებს“. უჩიოდნენ აგრეთვე წვრილ აგენტებს, „ობიეტჩიკებს“, რომელნიც ქრთამებს და საჩუქრებს ახდევინებდნენ გლეხებს, უდანაშაულოდ სცემდნენ და ხშირად იარაღითაც დასჭრიდნენ ხოლმე. დიდ მთავართან ვინ მივიშვებსო, სჩიოდნენ გლეხები, მოხელეებმა კი გაგვატყვევეს. ჩვენი თხოვნა ის არის, რომ გადასახადია, თუ ბაჟი ეროხელ სამუდამოდ გადაკვეთილი იყოს, რომ როგორმე თვითნებობას დავაბწიოთ თავი. აგრეთვე იმასა ვთხოვთ, რომ პირუტყვებისავით ნუ გვექცევიან და ცემა-ტყება აღარ იყოსო.

აი ამგვარი ქაღალდი 186 კაცის ხელით მოწერილი მიუტანეს დიმიტრი უიფიანს. დიმიტრის მორიგეობით უნდოდა საქმის გათავება და ამ განზრახვით მოურავს მისწერა შემდეგი წერილი: „შემთხვევა გვქონდა ერთ კეთილის საქმის გაკეთება, ამის გამო არ დავიზარებდი თქვენთან მოსვლას და მეზობლურად სიამოვნებით გაცნობას, მაგრამ სიბერის უძლურება ნებას არ მაძლევს სახლიდამ გასვლას, და მხოლოდ ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემ თავს ვიფიქრო, რომ გულკეთილობას გამოიჩენთ და მობძანდებით გავლით ჩემს მამულში, სადაც სასურველი და ძვირფასი სტუმარი იქნებით. დროს გამორჩევა თქვენზეა დამოკიდებული, ხოლო ერთს მოგახსენებთ—რადგან კეთილის საქმის მოწესრიგება მოგველის, რაც უფრო მალე მობძანდებით, ემჯობინება“. ამაზედ მოურავმა უპასუხა: თქვენი გაცნობა დიდი ხანია გულში მედოო და ის „კეთილი საქმე“, რომ არ ყოფილიყო, ამ დღეებში გიახლებოდით კიდეცა. მაგრამ ექვი მებადება, რა საქმის თაობაზე უნდა მელაპარაკოთ, ამიტომ თქვენთან ველარ მოვალ. უმჯობესი იქნება სტანციაზე ვნახოთ ერთმანეთი და მოვილაპარაკოთ. აი მართლა გავლით იქ ვიქნები და თქვენც იქ მობძანდით. მოლაპარაკება აუცილებლად საჭიროა. ამ ათი დღის უკან გავიგე, რომ ოთხი კაცი ქადის სოფელ-სოფელ და რაღაც ქაღალდზედ ფარულად და ძალად აწერინებს ხელს ხალხსაო. „სხვა რამესაც ბევრს ლაპარაკობენ, რასაც პირადად მოგახსენებთ. ღმერთს გეფიცებით, არა მჯერა, რადგან ვიცი, როგორ უყვართ გლეხებს ყაყანი და ერთმანეთში მითქმა-მოთქმა, აი რატომ ვამბობ ამ წერილის დასაწყისში, რომ ვიცი, რა კეთილი საქმეა ის საქმე. სწორედ ამიტომ უსათუოდ უნდა ვინახულოთ ერთმანეთი. საჭიროა, რომ თქვენს სახელს არ რევდნენ ამ საქმეში და სხვა. ამაზე დიმიტრიმ უპასუხა მოურავს: „თქვენ მიმიხვდით, რა კეთილ საქმის თაობაზე მინდოდა თქვენთან ლაპარაკი. მოურავსა და გლეხებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. მოგეხსენებათ, დიდი ნაწილი უსიამოვნებათა წარმოსდგება ერთმანეთის გაუგებრობისაგან. ამ გარემოებამ განსაზღვრა ჩემი როლიც ამ საქმეში. მშვიდობიანობის და თანხმობის სიტყვით მოგმართავთ. თუ გამოვა რამე, კმაყოფილი ვიქნები, თუ არა—შევწუხდები. ჩემს ძველ მეზობლებს გლეხებს მხოლოდ ეს დავპირდი. ამ განზრახვით მოგმართეთ თქვენ. მაგრამ ჩემთან სხვა და სხვა მიზეზების გამო, რომელთაც პატივს ვცემ, ნოსვლა თურმე არ შეგიძლიან. მე კი ოთახიდან არ გავდივარ. ასე რომ შეთანხმების საქმეს სამწუხაროდ ხელს ვერ შეუწყობ...“

ასე რომ, რაკი მოურავთან შეთანხმების იმედი გადაუწყდა, დიმიტრი უიფიანმა პირჰპირთა თხოვნით დიდ მთავარს, რომელსაც სწერდა: „გაჭირვებულისთვის ხელის არ მომართვა სინიდისის საწინააღმდეგო საქმეა. ამითი ვიმართლებ თავს თქვენს წინაშე, რომ ვეხმარები ჩემს მახლობელ მეზობლებს და მათს გაჭირვებას გაუწყვებთ. თქვენი უმაღლესობა არა ერთხელ გულკეთილობას იჩენდა თქვენს მამულში დასახლებულ ხალხისადმი და გამოგიცხადებიათ კიდეცა, რომ თავიანთ საჭიროებათა გამო პირდაპირ თქვენს უმაღლესობას მოჰმართონ ხოლმე. მაგრამ თქვენს აქ ყოფნის დროს ვერ გაბედეს და ვერა შეგატყობინეს რა. ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში კი მათი მდგომარეობა იმდენად შევიწროვდა, რომ იძულებულნი არიან თქვენს წყალობას მიჰმართონ. ამ მდგომარეობაში მე მომმართეს, როგორც მათ მეზობელს და თქვენს წინაშე თარჯიმანობა და შუამავლობა მთხოვეს“. ამ თხოვნასთან დიმიტრიმ წარადგინა ფაქტიური მასალაც, საქმის ქაღალდები და თავისი მიწერ-მოწერაც მოურავთან. ამ საქმის თაობაზე დიმიტრი აღნიშნავს თავის მოგონებებში: „მწამს რუსული ანდაზა „спорь до слезъ, а объ закладъ не бейся“ (ედავე რამდენიც გინდა, ხოლო ნუ დაჰნაძლევდები). მაგრამ ეხლა ძნელად ვარ დავნაძლევდე, რომ მკითხველი ვერ გამოიცნობს, რაგვარი განაჩენი დაუდეს ამ საქმეს. ხუთი სოფლის საზოგადოების სურვილი უყურადღებოდ დასტოვეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქაღალდი **ჩემ მიერ** იყო შემოტანილი და არა მოურავის მიერ“.

დიმიტრი უიფიანისთვის, მის ერთგულობის გრძნობისათვის, მწარე სამსალასავით იყო ასეთი მარცხი. მაგრამ იმ ხანაში „მარცხი“ კანონად გაუხდა ქართველების მოქმედებას. ამ გარემოებას დიმიტრი ვერ ურიგდებოდა. მის რწმენას და სოფლმხედველობას თითქოს ძირი ეცლებოდა. ამას კი უბრძოლველად ვერავის დაუთმობდა დიმიტრი უიფიანი. და რაკი საბრძოლველად იწვევდნენ, უკან არ დაიხია, ფეხს არ მოუნაცვლი, შემაგრდა და როდესაც განსაცდელის ზარის ხმა მოესმა, წინ წასდგა და გულის სიღრმეში დირსეული სიტყვა მოჰნახა ალვარ-აყრილ თავხედობის ასალაგმავად.

იმ დროის ვითარება ნათელი უნდა იყოს ჩვენთვის. საყურადღებოა, რომ საზოგადოების და მთავრობის მოურიგებლობა თავდაპირველად და ყველაზე მეტად სამშობლო ენის გარშემო ტრიალებს. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ეროვნული თვითშემეცნება თ ვის განვითარების პირველ საფეხურზე, ყველგან და ყოველთვის ენის დაცვის საჭიროებაზე დგება. ჩვენი საზოგადოებრივობის პირველ ნაბიჯების დროს, ვორონცოვის ხანაში, ენას არა სდევნიდნენ სკოლებისა და ეკლესიებიდან, თორემ საზოგადოებრივ დაწესებულებიდან ხომ საბოლოოდ იყო იგი განდევნილი. მაგრამ ამის წინააღმდეგ პროტესტს არავინ აცხადებდა, ასე შორს ეროვნული შემეცნების მოთხოვნა არ მიდიოდა. და ამის გამო იყო თანხმობა მთავრობისა და ნორჩ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნების შუა. ჩვენში აზვიადებენ ჩვეულებრივად ვორონცოვის პოლიტიკის მნიშვნელობას. მომთმენი, შემწყნარებელი და შორს-მჭვრეტელი იყოვო, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ დიდი გმირობა არ იყო შეწყნარება იმ ფრთებ-შეკვეცილ სურვილებისა, რომლითაც იყვნენ გამსჭვალულნი იმ დროს მოწინავე ქართველები. მოთხოვნა ისეთი მცირედი იყო, პრეტენზიები ისეთი ზომიერი, ხოლო წყურვილი თავგანწირვისა ისეთი დიდი და უზომო, რომ გონიერ ადმინისტრაციისათვის ეკვი აღარ იბადებოდა იმის შესახებ, თუ რა შინაარსის და მიმართულების უნდა ყოფილიყო მთავრობის პოლიტიკა. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ მთავრობას ჩვენში პირდაპირი დამოკიდებულება და საქმე მხოლოდ თავად-აზნაურობასთან ჰქონდა. ამ მხრივ მთავრობის პოლიტიკა უმწვერვალესად არისტოკრატული ხასიათისაა. თავადაზნაურობას უწევდნენ ეკონომიურ დახმარებას, პრიკაზი დაუარსეს, სადაც ყმებს აგირავებდნენ და არ მიწებს. ყმების გირაოთი კაი დიდი თანხა ჩაიყლაპა აზნაურობის მიერ. მატერიალურ შემწეობას აძლევდნენ სამსახურში გამწესებით. შვილებს უზრდიდნენ გიმნაზიებში და ინსტიტუტებში. და რაკი ქართულ ენასაც არ ავიწყებინებდნენ, იდილია მთავრობის მზრუნველობისა სრული იყო და ყველანი კმაყოფილნი იყვნენ.

დროთა მსვლელობაში დგება მეორე ხანაც. გვიჩნდება ინტელიგენცია, იბადება ჟურნალ-გაზეთობა, არსდება თეატრი და ფეხს იდგამს ახალი სიტყვა-კაზმული მწერლობა. ამიერიდან გამოღვიძებულ ეროვნულ თვითშემეცნებას ლიტერატური გამოსახულება ეძლევა, ამიერიდან ეროვნული „სული“ მწერ ეულსავით უბინაო აღარ არის. თეატრსა, ჟურნალისტიკა-მწერლობაში და საზოგადოებრივ წრეებში ჰბინადრობს იგი. აქ იზრდება, ვაკაცდება, ცნობიერებას იკრეფავს. ესეც უკვე დიდი ნაბიჯია. აქ ახალი მოთხოვნა არ არის წამოყენებული. ხოლო ძველი მოთხოვნა კი საფუძვლიანად არის დასაბუთებული-დამკვიდრებული. და

ДЕКЕША

ახალციხე.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

28 იანვარს გარდაიცვალა ახალციხის ქართველ კათოლიკეთა დეკანი მღვდელი მიხეილ ვარძელაშვილი.

ტფ. ქალაქის საგზო

28 იანვრის კრება.

კრება 9 საათზე დაიწყო ხატისოვის თავმჯდომარეობით. 21 იანვრის კრების ოქმი დამტკიცეს. **ა. ი. ხატისოვის** წინადადებათ განსვენებულ ქიარიმ-ბეგ ვექილოვის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცეს.

საჩივარი ი. ზ. თუთაძისა, რომელსაც ქალაქმა უსასყიდლოდ მიწა ჩამოართვა ორლოვსკის ქუჩის გასაფართოებლად, საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა.

თხოვნა სახლის პატრონებისა: ნინო სიდომონიძისა, იოსებ კირმელოვისა და გიორგი მამულოვასა, რომელნიც ანტონოვის ქუჩის გასაფართოებლად ჩამორთმეულ მიწისთვის სასყიდელს თხოულობენ, საბჭომ საბოლოოდ ვერ გადასწყვიტა, რადგანაც ხელთ არა ჰქონდა საკმაო ცნობები და ბევრი საიურიდიო საკითხიც გამორკვევას მოითხოვდა. თხოვნა საბჭომ გადასცა საიურიდიო კომისიას და დაავალა, ჩამორთმეული მიწები აუცილებლად დაათვალიეროს და ისე წარმოუდგინოს თავისი აზრი.

ა. ი. ხატისოვმა აცნობა საბჭოს, რომ ნება დართეს ტფილისის ქალაქის თვითმმართველობას, წელს დეკემბერში ტფილისში მოიწვიოს საეკონომიკო ერთეულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრება.

კრების მომწყობ კომიტეტში საბჭომ თავის წარმომადგენლებად აირჩია მ. ვ. ლუნკევიჩი და ტ. ა. ენფიანჯიანცი. ქალაქის გამგეობის მხრით ტექნიკოსი—მ. ბ. ოდანჯანოვი.

გეგმა და პროექტი კახეთის რკინის გზის სადგურებისა: საქონლისა და მასალათა გამნაწილებელ-მიმწოდებლისა, რომელიც ნავთლუღში უნდა ააგონ, საბჭომ თავის მხრივ დაამტკიცა.

მცირე კამათი გამოიწვია ,ხტრახანის მიწების გაყიდვის საკითხმა. ეს მიწები ქალაქს განსვენებულმა შამხაროვმა უანდერძა. ქალაქის საბჭომ კარგა ხანია გადასწყვიტა, მიწა გაყიდოს, რადგანაც სიშორის გამო მისი მოვლა საძნელოა. მყიდველებიც არიან—ეხლანდელი მოჯარადრენი. გამგეობამ საბჭოს წარუდგინა ამ მიწების გაყიდვის პროექტი, რომლითაც მოჯარადრეებს ნება ეძლევათ, მიწები გამოისყიდონ იმავ წესით, როგორც ეს ნაძალადევში მოხდა. საბჭომ პროექტი მოიწონა.

